

Valentine Baker, Clouds in the East: travels and adventures on the Perso-Turkoman frontier. London, Chatto and Windus, 1876

Soon after this it grew dark, and it was nearly ten o'clock when we arrived at Tiflis. The station is two miles from the town, and in the darkness we could form no first impression of the place. We drove to the · Hôtel du Caucase, where we secured very good rooms. The Hotel was kept by a Frenchman, M. Martin, who had retired from the Caucasus to France, after having made a little fortune. The whole of this he lost through the Franco-Prussian war, and he had now returned to recommence business. (21)

ამის შემდეგ მალე დაბნელდა და თითქმის ათი საათი იყო, ტფილისში რომ ჩავედით. სადგური ქალაქიდან ორი მილით [3,2 კმ] არის დაშორებული და სიბნელეში მის შესახებ პირველი შთაბეჭდილების შექმნა ვერ შევძელით. ჩვენ სასტუმრო „კავკაზში“ მივედით, სადაც ძალიან კარგი ოთახები მოგვცეს. სასტუმროს მართავდა ფრანგი ბ-ნი მარტინი, რომელიც მცირე ქონების დაგროვების შემდეგ კავკასიიდან საფრანგეთში გადავიდა. მან ეს ყველაფერი საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს დაკარგა და ახლა დაბრუნდა ბიზნესის განსახლებლად.

The next day we devoted to rest and to gaining a general idea of the town. I must say that we were much disappointed. Travellers who come so far certainly draw upon their imagination for much of the magnificence they describe. There is little of the East about Tiflis save the people one meets; the buildings might belong to some second-class German town. There are, it is true, certain quarters where the distinction is more marked, such as the Persian, with its flat-roofed mud houses; but the general impression was by no means what I had expected. (21)

მეორე დღე დასვენებას და ქალაქის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას მივუძღვევით. უნდა ვთქვა, რომ ძალიან იმედგაცრუებული ვიყავით. შორიდან მოსული მოგზაურები, უეჭველად, დიდებულების აღწერისას დიდწილად თავიანთ ფანტაზიას ეყრდნობიან. იმ ხალხის გარდა, ვინც გვხვდება, ტფილისში ცოტა რამაა აღმოსავლეთისგან; შენობები შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე მეორე კლასის გერმანულ ქალაქს. მართალია, არის გარკვეული უბნები, სადაც განსხვავება უფრო გამოხატულია, მაგალითად, სპარსული, თავისი ბრტყელსახურავიანი თიხატკეპნილი სახლებით; მაგრამ ზოგადი შთაბეჭდილება სრულიად არ იყო ისეთი, რასაც ველოდი. (21)

On returning to our hotel, we made inquiries about an interpreter, as we were anxious to engage one who would accompany us throughout our trip. There were very great difficulties in the way, as it was little likely we should find a man who spoke Russian, Turkish, and Persian fluently; but an Italian was strongly recommended to us who spoke the first two languages, and had travelled much in the wilds of Asia Minor; and, as we liked his appearance, we engaged him. His name was Gerome Realini, and he most faithfully and honestly stuck to us to the end of our expedition, following our fortunes for many thousands of dreary miles. (23)

სასტუმროში დაბრუნების შემდეგ, ჩვენ გამოვიკითხეთ თარჯიმნის შესახებ, რადგან ძალიან გვინდოდა მისი დაქირავება, რათა ის მთელი ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში გვხლებოდა. გზაში ძალიან დიდი სირთულეები გველოდა და ნაკლებად სავარაუდო იყო

ისეთი კაცის პოვნა, რომელიც თავისუფლად ილაპარაკებდა რუსულ, თურქულ და სპარსულ ენაზე; მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით გვირჩიეს ერთი იტალიელი, რომელიც პირველ ორ ენაზე ლაპარაკობდა და ბევრი ემოგზაურა მცირე აზიის უღრან ადგილებში; და რადგან მისი გარეგნობა მოგვეწონა, ჩვენ ის დავიქირავეთ. ეს იყო ჟერომ რეალინი და ის მეტად ერთგულად და გულწრფელად გვედგა გვერდში ჩვენი ექსპედიციის დასრულებამდე, მიჰყვებოდა რა ჩვენს ბედს ათასობით მოსაწყენი მილის მანძილზე. (23)

We afterwards visited the School of Instruction under Colonel Rudiger. This school is instituted on the Prussian system. A battalion is formed of a certain number of intelligent men selected from every regiment in the Caucasus. Here they go through a regular course to qualify them as Instructors; and, when so qualified, they return to their regiments. (24-25)

შემდეგ ჩვენ პოლკოვნიკ რუდიგერის (Rudiger) სასწავლებელს ვესტუმრეთ. ეს სკოლა დაარსდა პრუსიული სისტემის მიხედვით. ბატალიონი კავკასიის ყველა პოლკში შერჩეული ერუდირებული მამაკაცების გარკვეული რაოდენობისგან იქმნება. აქ ისინი გადიან რეგულარულ კურსს ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მისაღებად; მისი მიღების შემდეგ კი კვლავ თავიანთ პოლკებში ბრუნდებიან (24-25).

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)